სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/39

ქ. თბილისი 14 ივნისი 2019

სასწავლო პროცესის ზედამხედველობის სისტემის მართვისა და ექსპლუატაციის ჯგუფის გაუქმების და მულტიმედიური, საკონფერენციო და უსაფრთხოების სისტემების მართვისა და ექსპლუატაციის საუნივერსიტეტო ცენტრის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივნისის №01-05-04/140 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2019 წლის 14 ივნისის №01-06-02/04 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. გაუქმდეს სტუ-ის სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტის სასწავლო პროცესის ზედამხედველობის სისტემის მართვისა და ექსპლუატაციის ჯგუფი;
2. შეიქმნას სტუ-ის დამხმარე სტრუქტურული ერთეული – მულტიმედიური, საკონფერენციო და უსაფრთხოების სისტემების მართვისა და ექსპლუატაციის საუნივერსიტეტო ცენტრი და დამტკიცდეს მისი დებულება დანართი 1-ის შესაბამისი საშტატო განრიგით;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**